საქართველო, თბილისი
09.08.2025

ხელშეკრულება საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის (დათმობის) შესახებ
№01/06/2025

მუხლი 1. მხარეებისა და მათი წარმომადგენლების შესახებ

1. წინამდებარე გარიგების მხარეები არიან:

ა) უფლების დამთმობ(ებ)ი/უფლების დამთმობის პირები:

შპს აბულაძე კემულარია სოლუშენ (აკს) (სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; საიდენტიფიკაციო ნომერი: 404544962; რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 02/10/2017).

ბ) უფლების შემძენი:

შპს „საქართველო-ისრაელის ბიზნეს ჯგუფი” (სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; საიდენტიფიკაციო ნომერი: 206025692; რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 18/07/1995).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ შემდეგ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უძრავი ქონება: უძრავი ქონება, შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემებით - მისამართი: ქალაქი თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N 94ბ, N94ა; უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.17.13.037.024.
ბ) შენობა-ნაგებობა: მიწის ნაკვეთზე აღმართული შენობა-ნაგებობა.
გ) ავტორი: ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი:

ვინაიდან:

- საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.
- საავტორო უფლება გადაიცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით ანდა ხელშეკრულებით.
- საავტორო უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, უნდა დაიდოს წერილობით.

1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე: უფლების გადამცემი (დამთმობი), თითოეული პირი უფლების შემძენს, საქართველოს კანონმდებლობისა და კანონის თანახმად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, სრულად უთმობს მის საავტორო და მასთან დაკავშირებულ ყველა უფლებას, რომელიც გააჩნია არქიტექტურულ ნაწარმოებ(ებ)ზე, რომლებიც განთავსებულია მიწაზე, შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემებით: მისამართი: ქალაქი თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N 94ბ, N94ა; უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.17.13.037.024. (ნაკვეთის წინა ნომრები: 01.17.13.037.023; 01.17.13.037.018).
მათ შორის, იხ.:
· ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება No 7336102 .

2. უფლების გადამცემი თითოეული პირი აცხადებს, რომ მას, როგორც უფლების დამთმობ პირს, მიმდინარე დრისათვის, უფლების მიმღების მიმართ, არანაირი ფინანსური მოთხოვნა არ გააჩნია.

3. უფლების გადამცემი თითოეული პირი ასევე აცხადებს, რომ მას უფლების მიმღებს მიმართ, არანაირი სხვა სახის, მოთხოვნა/პრეტენზია არ გააჩნიათ.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებების შესახებ

1. წინამდებარე აქტით დადგენილი ყველა უფლება და ვალდებულება უცვლელად გადადის მხარეთა უფლებამონაცვლეებზე.
2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ეგზემპლარს თან ერთვის დანართი შემდეგი დოკუმენტები:
* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება No 7336102.
2. წინამდებარე გარიგების მიზნებისათვის, უფლების გადამცემი პირი აცხადებს რომ ის წარმოადგენს წინამდებარე გარიგების ხელმოწერაზე ერთადერთ უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, უფლების მიმღები, მხარეთა სამართალურთიერთობის პროცესში მოქმედებს მხოლოდ აღნიშნულ განცხადებაზე დაყრდნობით.

მუხლი 5. მხარეთა ხელმოწერები

ა) უფლების დამთმობი:

შპს აბულაძე კემულარია სოლუშენ (აკს) (სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; საიდენტიფიკაციო ნომერი: 404544962; რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 02/10/2017)

დირექტორი ეკა კემულარია

Eka Kemularia 62005000668
Digitally signed by Eka Kemularia
Date: 2025.09.08 14:18:29

____

ბ) უფლების შემძენი
შპს „საქართველო-ისრაელის ბიზნეს ჯგუფი" (სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; საიდენტიფიკაციო ნომერი: 206025692; რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 18/07/1995).

დირექტორი ოთარ წიწუაშვილი

_____